№ 17 იანვარი 24, სამშაბათი 1889 იანვარი 24, სამშაბათი № 17

გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

„ივერია"

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 23 იანვარი

ეგრედ წოდებულს „სამთა კავშირს", შედგენილს გერმანიის პოლიტიკოსთ მიერ სასარგებლოდ გერმანიისა, დღე და დღე ფესვები აწყდება და ლამის გაქარწყლდეს კიდეც. იტალია და ავსტრია კარგად საგრძნობლად გაუცივდნენ გერმანიას თუმცა ამ ორის სახელმწიფოს მთავრობანი კიდევ იწევენ გერმანიისაკენ, რადგანაც ასე თუ ისე ბადეში გაბმულები არიან თ. ბისმარკისაგან, მაგრამ თითონ ერნი-კი — იტალიისა, თუ ავსტრიისა — ჰგრძნობენ, რომ თავიანთ საკუთარის ფქვილისაგან პურს აცხობენ გერმანიისათვის დღევანდელ საპოლიტიკო თონეში. იტალიაში ერი თავის სამდურავს უცხადებს მთავრობასა, რომელმაც გერმანიის გულისათვის მძიმე ტვირთი შეთოფიარაღებულის მშვიდობიანობისა კისერზედ დაადო ერსა.

ავსტრიაში სლავიანები თავდაპირველადვე ალმაცერად უყურებდნენ ავსტრიისა და გერმანიის ერთმანეთზედ კუდის გადაბმასა და ყოველთვის ეურჩებოდნენ იმ კავშირს, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთში შეკრული ჰქონდა. ერთი დიდი ნაწილი ავსტრიისა, სახელდობრ, ვენგრია-კი დღეს აქამომდე დიდი მომხრე იყო ამ კავშირისა, რადგანაც ვენგრიის ტკივილს აღმოსავლეთის საქმეთა გამო რაღაცა ნუგეშს აძლევდა. დღეს-კი ვხედავთ, რომ აქაც იცნეს მანქანება გერმანიის პოლიტიკისა, რომელიც მარტო თავის თავისათვის ჰფიქრობს და სხვა არავისათვის. ამის გამო ვენგრიელებმაც გული აიყარეს გერმანიაზედ და დღეს ძალიან მწვავედ ჰკიცხვენ მთავრობასა, რომ გერმანიას ჩაეთრევინა და მისის გულისათვის დღე არ გადის, რომ ავსტრი-ვენგრიის ერს ხარჯი არ მოსთხოვოს მხედრობის გაძლიერებისათვისა. რადა და რისთვის ვუჭირებთ ჩვენს საკუთარს ერს უოფაცხოვრებასაო? ჰკითხულობენ ვენგრიელნი. გერმანიას რომ საქმე უჭირდეს, ჩვენი რა გადასახადიაო.

ამ ხანებში ვენგრიის პარლამენტში შეტანილ იყო განსახილველად პროექტი მთავრობისა მხედრობის შესახებ. დიდ-ძალი წინააღმდეგნი გამოუჩნდნენ ამ პროექტს პარლამენტში. მთავრობას, რომელმაც ეს პროექტი შეიტანა პარლამენტში, ბევრი მკახე სიტყვები უთხრეს. ერთმა დეპუტატმა პირდაპირ მიახალა სამინისტროს და მის მომხრეებს, რომ მუხანათები ხართო, რადგანაც თქვენის ქვეყნის ბედი მიჰყიდეთო ავსტრიას, რომელმაც აღარ იცის რა ჰქმნას უგერმანიოდაო. პირველმა მაგნატმა ვენგრიისამ გრაფმა სტეფანე კაროლიმ ცხარე სიტყვით გაჰკიცხა მთავარმინისტრის ტისსას პოლიტიკა და მისმა ძმამ გაბრიელმა კაროლიმ ამხილა თ. ბისმარკის პოლიტიკა.

გაბრიელმა კაროლიმ სთქვა, რომ თ. ბისმარკი გვატყუებსო. ვენგრიას გარედამ არავისაგან არაფრის შიში არა აქვს, რადგანაც არავინ არ ემუქრებაო. ჩვენ ყოველთვის გვეფიცებიან, ვითომ რუსეთი ეტანებოდეს ვენგრიასა, მაგრამ ეგ ზღაპარია, რომელსაც ავრცელებს თ. ბისმარკიო. ეგ დიდის ხნის ცნობილი ოსტატობაა გერმანიის კანცლერისაო. რუსეთს სრულებითაც არა ჰსურს დაიპყრას ვენგრია. თუ სდომებოდა, მაგას ადვილად მოახერხებდა 1848 წ., როცა ვენგრია მის ხელთ იყოვო. ყველას ევროპაში მშვიდობით ყოფნა ჰსურსო, ხოლო ყველანი თოფ-იარაღს იმარჯვებენ და ახალი წესები მხედრობისა შეაქვთ, მკვიდრთა ამისათვის ხარჯს უმატებენ რაც ძალი და ღონე აქვსთ და სულ რისთვის? იმისთვის-რომ მოუსვენარს პოლიტიკას გერმანიისას მტლად დაუდონ უველაფერიო. გერმანია ჰთრთის ძალად წართმეულ ელზას-ლოტარენისათვის, ეშინიან უკანვე არ ჩამოერთვასო. ამისათვის იგი ევროპის სახელმწიფოთა შორის მტრობასა სთესავს, შუღლსა და ძულებას აძლიერებსო. სახელმწიფო კაცნი ვენგრიისა აჰყოლიან თ. ბისმარკსა და არაფერი-კი არ გაეგებათო.

რაკი ვენგრიამაც ამისთანა ლაპარაკი დაიწყო, აშკარაა, რომ გერმანიის თავ-მოწონებულ პოლიტიკას — ცოტა არ იყოს — ლილახანა წაჰხდომია ევროპაში. არავინ იცის იქნება გერმანიის ბედმა ისე იმუშავოს, რომ ერთს მშვენიერს დღეს თავისი თავი მარტოდ დარჩენილი ჰნახოს ევროპის სახელმწიფოთა შორის. ყველას, საითაცკი მიიხედავთ, გერმანიის თავ-გასულს პოლიტიკაზედ ავადა აქვს თვალი ახილებული. დიდ თუ პატარა სახელმწიფოთა ყველას ყელზედ აქვთ მოდგმული ჯავრი გერმანიისა, ზოგს იმის გამო, რომ გერმანიას თავისი კლანჭი გამოუკრავს და ხორცი გამოუგლეჯია, ზოგს იმიტომ-რომ ვეღარ აუტანია დღევანდელის დღის სიმძიმე, წარმომდგარი გერმანიის ევროპაში გაბატონებისაგან. რაც გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა და გაბატონდა ევროპაში, ის დღეა და ეს დღე: ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ მუხლით ეცეცება და თავისუფლად ვეღარ ამოუსუნთქავს. ამას ყველანი ჰგრძნობენ და საკვირველი არ იქმნება ვიგულისხმოთ, რომ დღეს ევროპის გულში იდუმალი აზრი ტრიალებდეს იმის თაობაზედ თუ, გერმანიაა ყველაზედ უწინარეს ფრთა-შესაკვეცი, თუ სხვა ვინმე ევროპაში. ჩვენა გვგონია, რომ ამ აზრის ასე თუ ისე დაბოლოვებაა ძირეული საგანი დღევანდელის პოლიტიკისა და სხვა ყოველი ტყუილ-უბრალო გაძვრენ-გამოძვრენაა დიპლომატებისა და, უფრო უკეთ ვსთქვათ, დახანებაა, რომ თითონ აზრი ასე თუ ისე მომწიფდეს გადასაწყვეტად.

## ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 21 იანვარს, ტფილისის კლუბში დანიშნული იყო კონცერტი მომღერალის ქალის ე. ამიროვისა, კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ სხვათა შორის ბიჩურინას ქალი, მაეროვისა, მომღერალი ლოდი და კომიკი ფორკატის დასისა ლილინი. საზოგადოებამ სიამოვნებით მიიღო კონ-

---

# ფელეტონი

## მშობლის სურვილი

(ნათარგმნი)

მდინარე შავ დუნაისა და ახალსოფელს შუა დიდ გზაზე მოჩაქჩაქებდა პატარა ეტლში შებმული მთიული ცხენი და გვერდით მიმავალი მთიული სტვენა-ყვირილით მიერეკებოდა. მთიულს ეცვა უსახლებო ტყავი, ვიწრო შალვარი და ტყავის ქალამები. ეტლში იჯდა ახალგაზდა გრძელ შავ-თმა კაცი. ცხოველი გაზაფხულის მზე უკვე გადიხარა თეთრ მთებისკენ. მარცხნივ მოჩანდა მოლურჯო მთის ზურგი, მზე დაბლა ეშვებოდა და მთის კალთები რაღაც ნაცრის ფერის ნისლით იმოსებოდა, თუმცა-კი ზევით ცა მეტის-მეტად გაკაშკაშებული იყო...

ახალგაზდა მგზავრი დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ირგვლივ ბუნებას... ყოველ ადგილს, ყოველ ხეს რაღაც კმაყოფილებით შესცინოდა, შეჰხაროდა... ესეც უნდა ყოფილიყო: იგი ჰხედავდა იმ ადგილს, სადაც ბავშობა გაატარა უზრუნველად, მხიარულად. ცხენმა თითქო იგრძნო, რომ ბინას უახლოვდებოდა, და ნაბიჯს მოუმატა. ეტლმა შეუხვია ნაძვის ტყისკენ, ახალგაზდა პავლემ ჩაღუნა თავი და დაფიქრდა. დაფიქრდა და სწორედ, რომ დასაფიქრებელიც ჰქონდა. იგი მიდიოდა სახლში კრაკოვიდამ, სადაც ეს-ეს იყო საუცხოვოდ დაამთავრა გიმნაზიაში სწავლა და მიიღო „სიმწიფის მოწმობა". ეხლა პავლე ცოტად თუ ბევრად თავისუფალი იყო. თავისუფალი იყო და სახსარიც ხელში ეჭირა თავისის მერმისის ასე თუ ისე დასატრიალებლად. თუმცა უკვე განზრახული ჰქონდა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა, მაგრამ ამის საბოლოვოდ გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა მამას მოელაპარაკებოდა. წინადაც არა ერთხელ ჩამოუგდია მამასთან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მამის აზრი და სურვილი-კი მაინც ვერ შეეტყო. მოხუცი მამა სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: ჯერ დაამთავრე სწავლა და მაშინაც მოვესწრებით მაგ საგანზე ლაპარაკსაო. ახლა-კი მამის სურვილი აღსრულდა და მამაც ამ რამდენსამე სიტყვას არ აკმარებდა. პავლე გზაშივე ემზადებოდა მამასთან სალაპარაკოდ. მან კარგად იცოდა მამის მტკიცე ხასიათი; აგრეთვე იცოდა, რომ მამას ადვილად ვერ დაიყოლიებდა. უეჭველია მამის სურვილი მის სურვილს არ ეთანხმებოდა და სწორედ ეს აშინებდა პავლეს. პავლე როცა უკანასკნელად გამოელაპარაკა ამხანაგებს, გადასწყვიტა იურიდიულს ფაკულტეტზე შესვლა და, ვინ იცის, რას არ ოცნებობდა ახალგაზდა კაცი. მაგრამ ეხლა მხოლოდ ერთი სიტყვა მოხუცისა საკმაო იყო, რომ მთლად აერ-დაერია იმისი აზრი და ოცნება. უნებლიედ შიშის ზარმა აიტანა პავლე, მაგრამ მალე გამოიდარა:

— რა მიზეზით არ მომცემს ნებას მოხუცი, რომ შევიდე უნივერსიტეტში? იურისტის მოღვაწეობა ხომ ყოვლად პატიოსანი და საუცხოვოა! წამოიძახა ხმა-მაღლივ პავლემ.

ეხლა კი მთლად ჩამოეცალა დარდი პავლესა და საამო ოცნებამ გაიტაცა, მოაგონდა ორი თავის ამხანაგი, რომლებიც დაჰპირდნენ ამ ზაფხულს მასთან მოსვლას და სთხოვეს იმას, როგორც მთის უკეთ მცნობს, მიეღო მათთან ერთად მონაწილეობა მოგზაურობაში. ამ ფიქრში იყო პავლე, როცა გამოჩნდა მახლობელი სოფელი. პავლემ შეჰხედა ნაცნობ ბექურს, რომლის შუა-გულსაც მედიდურად აღმართულიყო მოხუცი იფნის ხე... ამ მოხუცის აჩრდილ ქვეშ მოჩანდა სხვა-და-სხვა საოჯახო შენობა ჩვენის მგზავრის მოხუცის მამისა. საშინლად აუჩქროლა გული მათმა დანახვამ; პატარა მინდორი და ხიდი-ღა ჰქონდა გასავლელი მშობლის სახლამდე.. ეტლი გადაუპირდაპირდა სახლს, აქ უცებ შენიშნა მარჯვნივ ცარიელი ქოხი. საშინლად გაფითრდა და ჰკითხა თანამგზავრ მთიულს:

— ედრეკ, ეს რა ამბავია? სად არიან გონსენიცოვები?

— განა არა შეგიტყვიათ-რა?

— არა.

— ისინი ხომ ზამთარში ორნაკში თოვლ ქვეშ მოჰყვნენ.

პავლეს მოაგონდა მამის წერილი, რომელშიაც იგი სწერდა ორნაკის მომხდარ უბედურებაზე... ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა პავლე, მაგრამ სრულიადაც არ წარმოუდგენია, რომ უბედურების მსხვერპლთა შორის მამის ასე მახლობელი მეზობელნიც ერივნენ.

— მაშ, სადღაა ეხლა განკა? ჰკითხა მცირე ხნის შემდეგ პავლემ ედრეკს.

— მამა თქვენმა შეიფარა იგი... ამ პასუხმა ცოტა მოუშო გულზე პავლეს. მას უყვარდა პატარაობიდამვე ერთად შეზრდილი განკა გონსენიცი. მას და განკას ხშირად, ძლიერ ხშირად უთამაშნიათ აი ამ მინდორზე, ამ იფნებს ქვეშ, ამ მდინარის პირზე... ყოველთვის, როცა-კი პავლე საზაფხულოდ მოდიოდა ხოლმე სახლში, უეჭველად რაიმე საჩუქარი უნდა მოეტანა განკასთვის და ქალაქში დაბრუნების დროს კარგა ხანს დარდობდა ამ შავ თვალ-წარბა ლამაზ ქალის დაშორებას. ახლა იმათის უბედურების შეტყობისათანავე განკა იკითხა პავლემ. რაკი შეიტყო, რომ განკა ცოცხალია და იმის მამასთან სცხოვრებს, დამშვიდდა და სთხოვა ედრეკს ეამბნა დაწვრილებით განკას მშობლების უბედურება. ანდრია გონსენიცი ორნაკის რკინის მადანზე მუშაობდა, იმისი ცოლი და ქალი შაბათს წავიდნენ მის სანახავად და თან წაუღეს კვირის საგძალი. გზაზედვე მთის მახლობლად მოესწრო ქარ-ბუქს და საწყლებს ძლივ-ძლივობით ლა მიეღწიათ მუშების ბინამდე. ქარ-ბუქი ღამე უფრო გაძლიერებულიყო და ისე ამოევსო ქოხი თოვლით, რომ გარეთ გამოსვლა ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყო. ბუხრის მილებიც თოვლით ავსებულიყო და ქოხში ცეცხლი მთლად ჩაჰქრობოდათ.. ამ შესაზარ ამინდისათვის შეჩვეულს მუშებს ყურიც არ ეთხოვებინათ და დაწოლილიყვნენ დასაძინებლად. ყველას მალე დაეძინა, მხოლოდ განკას და მის დედას არ დასძინებოდა. შუაღამისას საშინელის გრგვინვით წამოსულიყო მთიდამ თოვლის ზვავი და ქოხს დასცემოდა. ქოხის საჩეხი ჩაემტვრია და შიგ მყოფნი ქვეშ მოეტანა. განკა საჩეხის ხეებს დაეხსნათ სიკვდილისაგან. მეორე დღეს მგზავრებს გადაეხვეტნათ თოვლი და ყველა შიგ მოტანებული მკვდრები გამოეყვანათ. მხოლოდ განკა გულ-შემოყრილი ეპოვათ და მალე მოებრუნებინათ.

ცერტის გამმართველი და მრავალის ტაშის კრით დაასაჩუქრა ახალგაზდა მომღერალი ქალი.

*** როგორც მოგეხსენებათ, ვერის ხიდზე გამვლელ-გამომვლელი ეტლითა თუ ცხენით ბაჟს იხდის, ზოგს გამვლელ-გამომვლელს-კი ბაჟის გადახდა სიკვდილად მიაჩნია. ამიტომაც არის, რომ მებაჟეს, რომელიც ხიდზე სდგას, ხშირად უსიამოვნება და ჩხუბი მოსდის გამვლელ-გამომვლელთან. ამას წინად ექვსის კაპიკის გულისათვის სამი «მედროგე» გადმოუხტა მებაჟეს და გაიმართა საშინელი ალიაქოთი. როგორ თუ ყოველ გავლაზე ორ-ორ კაპიკს გვახდევინებო, ასტყდა ჩხუბი და მედროგეებმა ცემა დაუწყეს მებაჟეს. მათდა საუბედუროდ მებაჟე ისეთი ხელ-მარჯვე კაცი გამოდგა, რომ სამსამს გაემკლავა და კიდეც სძლია. 19-ს ამ თვისას ვილაცა ფაიტონში მჯდომნი გადმოუცვივდნენ მებაჟეს და ძლიერა სცემეს. ორსავე შემთხვევაში პოლიციელი არსადა სჩანდა.

*** ერთგულისა და სასარგებლო სამსახურისათვის მთავარ-მართებელს უმაღლესად მინიჭებულის უფლებით მიუცია ბათუმისა და ართვინის მეჯლისის წევრთათვის ოქროს მედალი: ახმედ-ბეგ სანჯახ-ბეგ აბაშიძესათვის და ვერცხლის მედლები: დურსუმ-ბეგ აბაშიძესა და ასლან-ბეგ თავდგირიძესათვის.

*** ოლქის სასამართლოს განყოფილებამ, რომელიც გორში იყო, გაარჩია ამ დღეებში საქმე თ. მიხეილ ერისთავისა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებათა გამო ეგზეკუციის დროს, იცნა იგი დამნაშავედ და გადაუწყვიტა: აეხადოს ყოველივე ღირსება და ციმბირში იქმნას გადასახლებულიო.

*** სოფ. **მარტყოფი**: დიდი ხანია, რაც მარტყოფის სახელი არა ხსენებულა გაზეთში. ის-კი არ იფიქროთ, რომ აქ საყურადღებო არა იყოს-რა. ბევრია, ბ-ნო, აქ გამოსაცხადებელი. წინად ბევრჯერ უმხილებიათ აქაური საქმეები, მაგრამ აქედგან არა გამოსულა-რა. ამ ჟამად თავი და თავი საჩივარი მარტყოფელებისა ის არის, რომ მეტად შეწუხებული ვართ სოფლის ზოგ მოხელეებისაგან, რომელთა გამოცვლას დიდის მოუთმენლობით ველოდებით. თუ რაში ვართ შეწუხებულნი, ამას ადვილად მიხვდებით და ამიტომ არც მე გიამბობთ. მოხელეებს ვადი შეუსრულდათ წარსულის წლის გაზაფხულს, მაგრამ, არ ვიცით რა მიზეზით-კი, არჩევანი დღემდე არ ყოფილა და ძველი მოხელეები დანავარდობენ მარტყოფში. ეს ვაჟბატონები დარწმუნებულნი არიან, რომ მათს მჯლობელობას ბოლო მოეღება და ამიტომ, რაც დღემდე დაუკლიათ, სცდილობენ ეხლა გაზღვევინონ და შეისრულონ.

*** სოფ. **ხორგა** (ზუგდიდის მაზრა): შემოდგომამ ძლიერ ცუდი ამინდი დაიჭირა, ისე რომ ოქტომბერმა თოვლით დაჰფარა ჯერ კიდევ ფოთლითა და მწვანით შემოსილი ტყე-ველი. ხეებს შტოები სულ დაამტვრია, პირუტყვს ცახცახი დააწყებინა და ადამიანს გული დაუღონა ამ უეცარმა, არა-ჩვეულებრივმა ზამთარმა. „არა-ჩვეულებრივს“ ვამბობთ, იმიტომ-რომ ჩვენში ეს პირველად ვხედავთ ოქტომბერში თოვლი მოსულიყოს, ჯერ კიდევ ყანები არ იყო აღებული, როდესაც თოვლმა გაათეთრ-გაასპეტაკა ჩვენი მინდვრები. როგორც იყო შემოდგომის თოვლწვიმიანმა, სეტყვა-ქარიშხლიანმა ამინდმა დაგვანება თავი. დადგა დეკემბერი, პირველი თთვე ზამთრისა, და სულ სხვა ნაირად შეიცვალა ჰაერი: სიცივემ სითბოს დაუთმო ადგილი, მზემ საკმაოდ გამოანათა და დადგა მშვენიერი დარები. დადგა იანვარი, ახალ-წელიწადი და დარი ისევ დარობს, სითბო მატულობს, თითქო ძველ-წლიდამ მიეღოს ანდერძად! მე დარებით დაულიე სული და შენც უნდა იდაროვო. ამ ნაირად და ამასობაში გაშრა ტლაპო-ტალახიანი გზებიც, რითაც მისვლა-მოსვლა ერთმანეთში გაგვიადვილდა.

სხვა რა მოგახსენოთ, ბატონებო, და ქურდობა ჩვენში კვლავ „აღსდგა მკვდრეთით“ გვეგონა, ღმერთმან, თუ კაცმან გვიხსნა ამ ღამის რაინდებისაგანაო, მაგრამ ეხლა, როგორც ვხედავთ, გვიცრუვდება იმედი. აქა-იქ იწყეს ცხენის ქურდობა. ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს სოფელში უფრო მყუდროებაა, ვიდრე ზუგდიდის ახლო-მახლო სოფლებში. ამბობენ, რომ ღამე არ გაივლის, რომ ან ცხენი არ დაიკარგოს, ან კაცი არ დაჩეხონ ღამის რაინდებმაო.

დასასრულ არ შემიძლიან არ გიამბოთ შემდეგი ამბავი: ერთის ღარიბის გლეხის შვილი ჯარში უნდა გაეწვიათ. ამ საწყალს გლეხს ერთი აზნაური დაჰპირებია: „მე გამოვიხსნი შენ შვილს სამსახურიდგან, ისე დავატრიალებ საქმეს, რომ კენჭი ავაცდინო, მხოლოდ რამდენიმე თუმანი ამ ხელად დაგვჭირდება ამ საქმის მოსაგვარებლადაო“. საწყალს გლეხს ძლიერ გახარებია, თუმცა-და ფულის შოვნა ძნელი ყოფილა მისთვის, მაგრამ საიდგანაც იყო, მოუხერხებია საწყალს ერთი თუმანი და დიდის მოწიწებით მიურთმევია აზნაურისათვის და ოთხ თუმანსაც სამერმისოდ დაჰპირებია. აზნაურს ყოყმანი დაუწყია, რადგანაც ერთი თუმანი ეცოტავა ამ დიდის საქმისათვის, მაგრამ რაღა გაეწყობოდა: სულ არარაობას ესეც არჩია და ჩააბარა ჯიბას. მაგრამ საწყალ გლეხის შვილს კენჭი ველარ ასცდა და ჩვენი გლეხი-კი დარჩა პირში ჩალა გამოვლებული... დაუწყო ხვეწნა აზნაურს: ჩემი თუმანი დამიბრუნეო. აზნაურმა უპასუხა: „ჩემის ფეხის ქირად მერგებაო. დანარჩენი ოთხი თუმანი, რომელიც უნდა მოგეცა, ღმერთმა ტკბილად შეგარგოსო“...

*** **მოსკოვიდგან** გვწერენ: მოსკოვის არხეოლოგიურს საზოგადოებას მოუვიდა ვრცელი წერილი საქართველოს ეგზარხოსის პალადისაგან. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა დაწვრილებით აცნობებს საზოგადოებას ბაგრატის ტაძრის ამბავს. აგრეთვე ეგზარხოსი იწერება, რომ ქუთაისის სასულიერო მთავრობას დარიგება გაეგზავნა ბაგრატის ტაძრის დასაცველადაო.

ამ წლის ოქტომბერში არხეოლოგიური საზოგადოება დღესასწაულობს დღეობას თვისის ოც-და-ხუთის წლის არსებობისასა და მოღვაწეობისას. ამ დღისათვის დანიშნულია მოსკოვში მერვე არხეოლოგიური კრება და კოლექციების გამოფენა საისტორიო მუზეუმში. საზოგადოებამ გადასწყვიტა კრებაზე მოწვევასა და კოლექციების გამოგზავნის შესახებ დაბეჭდოს ქართულს გაზეთში განცხადება და შემდეგ ქართულადვე ცალკე წიგნაკად გამოსცეს ამ საქმის შესახები წერილი.

*** **გურია**: წარსულმა წელიწადმა თუმცა ჩვენთვის დიდს უგეშურ-უმადურობაში დალია სული, მაგრამ ერთი ფრიად სასარგებლო დაწესებულება მაინც შეგვძინა. დაბა ნაგომარში გაიმართა სასოფლო სამკურნალო (**пріемный покой**) ერთის ექიმით, ბებია ქალით, ორის ფელდშერით და მცირე აფთიაქით. ეს, რასაკვირველია, სახუმრო საქმე არ არის, მაგრამ ყველაფერში სულ-სწრაფი გურულები ამ დაწესებულებასაც თავიანთებურად მოექცნენ. გაიგეს თუ არა, რომ ეს დაწესებულება პირდაპირ სოფლის საჭიროებისთვის არის დანიშნულიო, მისცვივდნენ ექიმს და მისცვივდნენ როგორ? დიდმა და პატარამ, ახალგაზდამ და მოხუცებულმა, ავადმყოფმა და საღმა, ყველამ ერთად მიიტანეს იერიში. ერთი ამბობდა: „ჩემი არჩივი წამალი, ბატონო დოხტურო, ამ წამს მომეცი, ბევრს ნუ მაყუნცულებო“. მეორე უმატებდა: „მართალია, ახლა აქერი მტკივა, მარა სატკივარს რას უყურებ, შემატყვეთ რა ამტკივდება და იმის წამალიც ქე მომეცითო“. მოხუცებულებმა, ვისაც თვალთა ხედვა და ყურთა სმენა დაჰკლებოდათ, ერთიანად აიკლეს იქაურობა, თხოულობდნენ სმენისა და ხედვის ნიჭის ხელ-ახლად დაბრუნებას. როცა აუხსნეს, რომ ეს მოხუცებულობის უნარია და ამისი გასწორება შეუძლებელიაო, უკმაყოფილებით გაიქნიეს თავი თურმე და სთქვეს: „თუ კაი მოწამლე და ჯანაოზი ხართ, მოხუცებულობას უნდა მოუხერხოთ რამე, თვარა ყმაწვილობაში ჩვენ თქვენზედ უკეთესი გიახელითო“. მოდით და ასეთ მიზეზიანს ხალხს თქვენ შეუწყეთ ხელი! მართლაც-და სირცხვილი დაგვემართებოდა, რომ ექიმად ისევ ჩვენი კაცი, ჩვენი ზნე-ჩვეულების მცოდნე არა ყოფილიყო. რაც უნდა იყოს ეს დაწესებულება ჩვენთვის კოვზით ზიარებაა. ადრე თუ გვიან შევეჩვევით, ვისწავლით, თუ რაში გამოვიყენოთ ეს მადლიანი საქმე. ხოლო ის-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საქმეც სრულიად ძველის წლის ნამოქმედარი არ არის. დედა-აზრი და გადაწყვეტილება ამის შესახებ წარსულის წლის წინა მოადგილე წელიწადს ეკუთვნის, რომლის გადაწყვეტილებაში სხვათა შორის ისიც იყო ნათქვამი, რომ ამ დაწესებულებას დაბა ჩოხატაურში უნდა ჰქონოდა ადგილი და არა ნაგომარში. ჰავითა და მდებარეობით რომ ჩოხატაური სჯობს ნაგომარს, ამაზედ ვერავინ წინაალმდეგის თქმას ვერ გაჰბედავს და რომ გაჰბედოს, თქმას ხომ დამტკიცებაც უნდა. ნაგომარი, ბატონებო,

---

სანამ ამ უბედურებას უამბობდა პავლეს ედრეკი, ეტლი უკვე მიუახლოვდა მარცინ ტატარის სახლს. მარცინის შენობა სხვა მთიულების სახლებზე უფრო ფართო და განიერი იყო, თლილის ქვით მოკირწყლული ეზო ჰქონდა და კოხტა ბაღჩა... ეტლი შევიდა ეზოში და პირდაპირ სახლის კარებთან გაჩერდა. კარებში გამოჩნდა ვიღაც ქალი, რომელიც თვალის დახამხამებაზე დაიმალა. პავლე გადმოხტა ეტლიდამ და პირდაპირ მამის ოთახისკენ გაექანა. ოთახში არავინ დაჰხვდა. პავლემ დაუწყო სიამოვნებით თვალიერება კარგად ნაცნობს ორის წლის უნახავ ოთახს. ორი წელიწადი იყო, რაც პავლეს აღარ ნახა ეს ორ-ფანჯრიანი პატარა ოთახი, მაგრამ ხსოვით-კი კარგად ახსოვდა. კედლებთან ირგვლივ იდგა გრძელი ხის სკამი ჭრელის ფარდაგით გადაფარებული. თვით კედელიც აჭრელებული იყო სხვა-და-სხვა ფერად ნაქსოვ ფარდაგებით. ერთს კუთხეში მეტად სპეტაკად შენახული მთიულთ სალოცავი — წმინდა ხატი ეკიდა, იმის პირდაპირ კუთხეში იდგა მაგიდა. მაგიდაზე რამდენიმე სხვა-და სხვა წიგნი, სათვალეები და კალენდარი ელაგა. პავლემ ერთი კიდევ გადაავლო თვალი და დააპირა ოთახიდამ გასვლა, რომ კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ახალგაზდა ქალი. ქალს ჯუბა ეცვა და თავზე შავი მანდილი ეხვია.

— განკა, წამოიძახა გახარებულმა პავლემ.

— მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონო პავლე!

— განკა! მე მაგ სალამს არ მიკიღებ! რად მეძახი ბატონს? განა შენი რა ბატონი ვარ?

განკამ დარცხვენით ჩაღუნა თავი და არა უთხრა-რა პასუხად

— გთხოვ, განკა! ნუ გრცხვენიან ჩემი და ძველებურად მეგობრულად მომექეცი.

— განკამ მიიფარა ხელსახოცი პირზე და წაიბუტბუტა:

— არ შემიძლიან! პავლე მიუახლოვდა:

— რატომ?

— თქვენ ეხლა დავაჟკაცებული და გაუცხოვებული ხართ!

პავლემ ხელი წაავლო განკას და ლმობიერად უთხრა:

ჩემს ტანთ საცმელს ნუ აქცევ ყურადღებას! ამას არ შეუძლიან გამაუცხოვოს! მაგრამ სად არის მამა?

— ამ საღამოთი თოფით ტბაზედ წავიდა და საცაა მოვა, მაგრამ იქნება მშიერი ხართ! თუ მიბრძანებთ, ჩაის მოგართმევთ, ბატონო პავლე!

— განკა, განა არ შეგიძლიან ერთი თხოვნა შემისრულო? ბატონს ნუ მეძახი.

— თქვენი ნებაა!

— ჰოო, ეხლა მეც ვიპასუხებ: არაფერი მინდა. შენ მხოლოდ მითხარ: ხომ კარგად არის მამა, ან შენ როგორა ხარ?

— მადლობა ღმერთს, მამა თქვენი კარგად არის, მაგრამ მე-კი... განა არ შეგიტყვიათ ჩემის მშობლების უბედურება!

განკას ცრემლები ჩამოსცვივდა.

— მე ეს-ეს იყო შევიტყე თქვენი ამბავი და... ოთახში შემოსულმა მოხუცმა მარცინმა შეაწყვეტინა სიტყვა პავლეს. მოხუცის დინჯ და ყოველთვის დაფიქრებულს სახეს როგორღაც არ უხდებოდა მთიული ტანთსაცმელი. იმისი აზრიანი და ჭკვიანი ლაპარაკი ხომ გააოცებდა მნახველს. მარცინი აღიზარდა კრაკოვში. ჯერ სწავლა არ დაემთავრებინა, რომ ჯარში წაიყვანეს. ჯარიდამ პირდაპირ დაბრუნდა სოფელში და აქედგან ფეხი აღარსად გაუდგამს. იგი კარგა დიდ გვარს ეკუთვნოდა, მარტო იმისი ნათესავები გადასახლდენ სხვა-და-სხვა ქალაქში, მხოლოდ ერთი მარცინი დარჩა მამა-პაპის ნასახლარზე. იგი შველოდა თავის მეზობელთ სიტყვით თუ საქმით და სწორედ ამიტომ ყველასაგან პატივცემული იყო. მოხუცი გადაეხვია შვილსა, აკოცა, მიაყუდა თოფი კუთხეში და უთხრა: მაჩვენე შენი მოწმობა. მოხუცი სიამოვნებით ჰსინჯავდა მოწმობას. პავლე მიუახლოვდა მამას და ნელის ხმით უთხრა:

— ახლა-კი დროა მოვილაპარაკოთ ჩემს მომავალზე. მე თუმცა ერთი აზრი უკვე შევადგინე, მაინც, მინდა შენი აზრი შევიტყო. მოხუცმა შეჰხედა შვილს და მიუბრუნდა განკას.

— განკა, შენ წადი და ვახშამი მოგვიმზადე. გავიდა განკა თუ არა, მარცინი მიუბრუნდა შვილს.

— სანამ შენს მომავალზე გეტყვი რასმე, მე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრა თვით ჩვენ გვარზე: ყველა გვარსა აქვს თავისი საკუთარი აზრი და საგანი, რომლის აღსრულება ყველა წევრის უპირველესი მოვალეობაა: უკეთუ რომელიმე გვარი გვერდს უხვევს თავის საგანს, მაშინ იგი წვრილმანდება და მთლად იფხვრება კიდეც. იქნება შენ გიკვირს კიდეც, რომ უბრალო მთიული გელაპარაკები გვაროვნობაზე. ქალაქელები სასაცილოდაც ამიგდებდნენ, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე ვამბობ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა ყველა ერთგულ მამულის-შვილისათვის. ჩვენი გვარი ძველის ძველია. ჯერ მთელი პოდგოლი გაუვალი ტყე იყო, როცა აქ დასახლდა მეფის ბრძანებით განთავისუფლებული გლეხის სახლობა... მთელმა არე-მარემ პირველის პატრონის სახელი შეირჩინა. დღემდე მომეტებული წილი ძველის ოჯახისა დაწვრილმანდა და დღეს ძლიერ ცოტაა აქ ძველის გვარის ოჯახი. დიახ, ცოტაა დღეს ძველი ოჯახის წარმომადგენელი, მაგრამ ვინც არიან, ყველგან და ყველასაგან დიდად პატივცემულნი არიან. მათი საქმე ისტორიაში-კი არა, მეზობელთა გულის ფიცარზეა აღბეჭდილი. რამდენად ძველია საკუთრივ ჩვენი გვარი, შეგიძლიან იქიდამ წარმოიდგინო, რომ დღეს მთელი სოფელი და მის ახლო-მახლო ადგილები ჩვენს სახელს ატარებს. სადაც-კი იკითხავთ ჩვენზე ახლო თუ შორს, ვერსად გაიგონებ ჩვენ გვარზე სამდურავს. მერე იცი, საიდამ დაიმსახურა ჩვენმა გვარმა ყველას სიყვარული, პატივის-ცემა და სახელი? პატივსა გვცემენ ჩვენ იმიტომ-რომ ჩვენ არამც თუ მკვიდრად შევინახეთ ძველადვე შეთვისებული ზნე-ჩვეულება, არამედ ჩვენმა გვარმა იკისრა ახალი მოვალეობა, რომელსაც დღემდე წმინდად და ერთგულად ვასრულებთ. ეს ახალი მოვალეობა ჩვენი გვარისა დაიწყო პაპიჩემის იან ტატარს შემდეგ. როცა პოდგოლზე გაკაფეს ტყე და გაიყვანეს გზა, მაშინ გამბედავთ დაიწყეს კრაკოვში გადასახლება. ჩემმა პაპის მამამ პირველმა გაჰგზავნა თავისი შვილი სასწავლებელში. მოხუცი გატაცებული იყო შვილის მომავალ ბედნიერებით, როცა იგი მისცა სასულიერო სემენარიაში. მაშინ გლეხის შვილებს მხოლოდ იქ იღებდნენ. პაპაჩემს იანს მაინცა და მაინც ძლიერ არ უყვარდა სასულიერო წოდება. ამასთან ამხა-

ისეთი ადგილია, რომ იქ თითონ ციების უებარი წამალი ქინაქინაც, ვგონებ, ვერ მორჩეს უციებ-ცხელებოდ. სად ნაგომრის ჰაობიანი და ნესტიანი ადგილი და სად სამკურნალო!

---

## წერილი რედაქციის მიმართ

თელავში რწმუნებულ ჩემდამო სკოლის სასარგებლოდ გაუმართავთ ბ ნ გრ. ბურჭულაძის თაოსნობით წარმოდგენა, რომლის შემოსავლიდგან ორმოცდა თერთმეტი მანეთი უკვე მივიღე. ამისთვის გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა ვუძღვნა, როგორც ბ ნს ბურჭულაძეს, ისე იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო იმ წარმოდგენაში.

წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მმართველი
ერ. ნაკაშიძე

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთში საქმეები ძალიან აირ-დაირია. ბულანჟეს არჩევამ პარიჟის დეპუტატად დააფიქრა რესპუბლიკელები და დიდი მიხეთქ-მოხეთქება დაჰბადა. ფლოკემ განიზრახა კიდეც, რომ გადამდგარიყო სამსახურიდამ და მიეცა შეძლება პრეზიდენტის კარნოსათვის ახალი სამინისტრო შეედგინა. თუ დარჩება დღევანდელი სამინისტრო, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით დარჩეს, რომ დაუყოვნებლივ მოისპოს არჩევანების წესი საარჩევანო სიებით და კვლავ შემოღებულ იქმნას თემ-თემად არჩევანების წესი, რათა ერთსა და იმავე კაცს არ შეეძლოს ყველა თემში გამოაცხადოს თავისი კანდიდატობა და ყველგან იყაროს კენჭიო. მაინც-დამაინც, თუ საჭირო იქნება,—უთქვამს ფლოკეს კარნოსათვის:—მთელი სამინისტრო გადადგება და თქვენ ახალი კაბინეტი შეადგინეთო. კარნოს უპასუხნია, რომ ჯერ დავიცადოთ, ვნახოთ კიდევ დეპუტატთა პალატის კრება რას იტყვისო.

— გაზეთი „Republique Francais“-ი ამბობს: ბულანჟემ გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად შეერთდნენ ისეთი დასნი, რომელთა შეერთება სწორედ წყლისა და ნავთის შეერთებასა ჰგავს. შეერთდნენ ერთად ბონაპარტელები, ორლეანელები, რეაქციონერები და მომხრენი დემაგოგიისანიო. ასეა თუ ისე, გენერალი ბულანჟე დღესაც ისეთივე არარაობაა, როგორიც გუშინ იყო გამარჯვებამდეო. რესპუბლიკელებმა ახლა უნდა გულ-დასმით იფიქრონ და წესიერად ამოქმედონ დღევანდელი კანონებიო.

„Matin“-ი ამბობს: ჯერ-ჯერობით ყოველივე ისევ რესპუბლიკელების ხელშია და ბულანჟეს გამარჯვება მხოლოდ გაფრთხილებაა რესპუბლიკელებისათვისაო.

„Evenement“-ი ამბობს, რომ ფიქრი არ არის, საფრანგეთის ერს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი სარესპუბლიკო აზრები ამ ერმა სამჯერ გამოაცხადა საფრანგეთში რესპუბლიკაო.

„Siecle“ ამბობს: გენერალის ბულანჟეს არჩევა იმას ამტკიცებს, რომ პარიჟს უნდა კონსტიტუციის გადასინჯვაო.

„Journal de Debats“-ა ჯერ-ჯერობით არ ამბობს, რა შედეგი მოჰყვება ბულანჟეს არჩევანსა.

„Caulois“-ი და „Figaro“ ამბობენ, რომ ბულანჟეს გამარჯვებამ მოკლა რესპუბლიკის მოთავენი, მაგრამ თვით რესპუბლიკა-კი ცოცხალიაო.

როშფორის გაზეთი „Intransigeant“-ი ამბობს, რომ ბულანჟეობის გამარჯვება განკითხვის დღეა საპარლამენტო რესპუბლიკისათვისაო. ფლოკემ უნდა თავი დაანებოს თავის მინისტრებით სამსახურს, ხოლო კლემანსოსთვის უფრო ის ემჯობინება, კვლავ თავის მკურნალობას მიმართოსო. ბულანჟეს მომხრე გაზეთი «Presse» ამბობს, რომ ყველა დეპუტატმა ხელი უნდა აიღონ დეპუტატობაზედაო. ბულანჟეს მისცეს თეთრი კენჭი ისეთს უბნებშიაც-კი, სადაც უწინ გამბეტასა და კლემანსოს აძლევდნენო.

„Autorite“ ამბობს: ბულანჟეს არჩევანი არა თუ მარტო ჟაკის დამარცხებაა, არამედ დამარცხებაა რესპუბლიკის პრეზიდენტისაცა, სენატისაცა და დეპუტატთა პალატისაცაო.

— კარნო გულგრილად ეკიდება ბულანჟეს არჩევანის საქმეს და ამბობს მხოლოდ, რომ საჭიროა კანონს სცემდნენ პატივსაო.

— ხმები ისმის, რომ ვითომ ახალის სამინისტროს შედგენა უნდათ, ისეთის სამინისტროსი, რომელშიაც უნდა მოჰყვნენ მეთაურნი ყველა სარესპუბლიკო დასისანიო. სამინისტროში მოჰყვება სხვათა შორის რუვიე და ლაკრუაო.

— არჩევანის წინა დღეს გამოსულა წიგნი ჟიულ სიმონისა სათაურით: «გახსოვდეთ ორი დეკემბერიო». „Temps“-ი ამბობს, რომ ამ წიგნში ავტორი რამდენისამე სიტყვით გვიხატავს მაშინდელს დროსაო. კაცი შეძრწუნდება, როცა დაინახავს ამ აღწერილობიდამ, რა ნაირადა ჰგავს ის დრო ეხლანდელსაო. აი რასა სწერს ჟიულ სიმონი ამ წიგნის წინასიტყვაობაში: «მაშინ, 2 დეკემბრის წინად, ყველანი ამას ამბობდნენ: «განა რა კაცია ლუდოვიკო-ნაპოლეონი, რომ იმისი გვეშინოდესო. იქნება გაბატონდეს-კი ეგ თავ-ცარიელი, მაგრამ ბატონობას ვერ შეიშვნევსო. ისე რომ იმის მაგიერ მაინც ჩვენს ხელში იქნება გამგეობა ქვეყნისაო». 2 დეკემბრის ამბავს შემდეგ-კი სულ სხვა მოხდა: ყველამ უცებ შეიტყო, რომ მოტყუებულნი იყვნენ და ნაპოლეონმა ყველას ჩალა გამოავლო პირში. ზოგნი მაშინვე მიიმალნენ, ზოგი კიდევ გაიქცა და მუხლებზე მოეხვია ახალს ბატონს. ამ დროს გავრცელდა ხმა, რომ ნაპოლეონს განზრახვა აქვს შეიპყრას მრავალნი და განდევნოს სამშობლოდამაო. ესეც არავინ დაიჯერა: როგორ შეუძლიან, როგორ გაჰბედავსო? ის-კი არა თუ გაჰბედა და მეტიცა ქნა. ჟიულ სიმონის წიგნში მოთხრობილია, რომ 2 დეკემბერს შემდეგ 5 რესპუბლიკელი გაგზავნილ იქმნა კაიენაში, 6 დროებით იქმნა დასჯილი, 66 ცალკე დეკრეტით განაძევეს საფრანგეთიდამ. რამდენი მოკლა, რამდენი დაიჭრა, იმას თვლა აღარა ჰქონდა. თითქმის მესამედი საფრანგეთისა შიშიანობის წესზე იქმნა დაყენებული. თვით პარიჟში დიდ-ძალი ხალხი შეიპყრეს და დაპატიმრეს. სულ 8 დღეში გაივსო ციხეები და სატუსაღოები პატიმართაგან. მათი რიცხვი რამდენსამე ათასზე მეტი იყო. თითო-ოროლას გარდა ყველა ესენი რესპუბლიკელები იყვნენ.

ასეთს ყოფაში იყვნენ მამულიშვილნი, ხოლო თვით მამული? თვით მამული 15 წლის მონობამ იქამდე მიიყვანა, რომ საშინელი სირცხვილი იხილა სედანში.

**ავსტრი-ვენგრია.** შეიწყნარეს-კი ვენგრიელებმა ახალი სამხედრო კანონ-პროექტი, მაგრამ ვაი იმ შეწყნარებას. სწორედ ჯვარს აცვეს, იმდენი ვაი-ვაგლახი და ტანჯვა-წვალება გამოატარეს. სეიმის ერთს კრებაზე ეტვოსმა სთქვა პროექტის მე-14 მუხლის გამო: ჯარი ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ ამასთანავე ნაციონალური, საეროვნო. ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს ასეთი ჯარი ჰყავს. ასეთი ჯარი პატივს უნდა სცემდეს კონსტიტუციასა და ერის დაუმოუკიდებლობას. ერთის სიტყვით, ჯარი და მხედრობა სისხლი და ხორცი უნდა იყოს თვით სახელმწიფოსი და მტკიცე კავშირი უნდა არსებობდეს წარსულსა და ჯარს შორის, ჯარსა და მერმისს შუა. თუ ასეთი არ იქნება ჯარი, ჩვენ გვეყოლებიან მხედარნი და გმირნი-კი არაო.

შემდეგი კრება უფრო უარესი იყო. გრაფმა ევგენი ზიჩმა სულ გაანადგურა მე-14 მუხლი კანონ-პროექტისა. მემარცხენენი სიხარულით ტაშს უკრავდნენ ზიჩს, რომელმაც სთქვა შემდეგ, რომ ჩვენ ავსტრიასთან სხვა ნაირი პირობა გვაქვსო. ავსტრიის იმპერატორის ტახტი ვენგრიაზე უნდა იყოს დამყარებული და ჩვენ უნდა გვეპყრობოდესო. ამ დროს ადგა მინისტრის ძმა ტისსა და დააპირა წასვლა. ედმუნდ ზიჩმ მიაძახა: თუ ამისთანების მოსმენა არ გინდათ, რასაკვირველია, წასვლა გირჩევნიათო. ასტყდა საშინელი ღრიანცელი და ბოლოს, როგორც იყო, წესიერება ჩამოვარდაო. ტისამ უპასუხა ზიჩს: მე ისე ვიქცევი, როგორც ჩემი ნებააო.

---

## გასართობი

დღეს ცეკვაზედ ჩამოვაგდოთ ბაასი და ავიღოთ თუნდა კადრილი, რადგან ამის შესახებ კაი ცნობები აქვს „პეტერბურგელს“ მოყვანილი პეტერბურგის ერთს რუსულს გაზეთში. კადრილი, ფრანგთა-კი არა,—ინგლისელთა ცეკვაა, country-bance, ე. ი. სოფლური ცეკვა, რომელიც შემდეგ ფრანგებმა გადაასხვაფერეს, ბალებში სათამაშოდ შემოიღეს და დაარქვეს dontredance, ანუ ცეკვა, რომლის დროსაც მოთამაშენი ერთი-ერთმანეთის პირდაპირა სდგანან. როგორც ბევრ სხვა მხრივაც, აქაც ინგლისელებმა დაიწყეს და ფრანგებმა განაგრძეს, გააუმჯობესეს, ძველს საძირკველზედ ახალი კედლები აიყვანეს. ეს ინგლისის country-dance საფრანგეთში 1710 წელს შემოიღეს და anglaise-ს უწოდებდნენ. ფრანგებს ძალიან მოეწონათ. წარსულის წლის საუკუნის დასასრულს მოცეკვავეთა კონგრესზე დაადგინეს, რომ კადრილი ხუთ ნაწილად უნდა განიყოს და ამ ნაწილებს, ანუ მუხლებს ცეკვისას დაერქვას „le pantalon“, „l'été“, „la trénis“, „la

---

ნაგებს იგი მასხარად ჰყავნდათ აგდებული, როგორც მთიული. იმას სწავლა ჯერ არა ჰქონდა დასრულებული, როცა მიატოვა სასწავლებელი და წავიდა ომში. იქ არა ერთი და ორი შავი დღე გამოიარა და 1772 წელს დაბრუნდა უკან. მეორედ კიდევ წავიდა ომში და ომის ველზე გაითხარა სამარე, მაგრამ მე ამაზე არ მინდა გელაპარაკო... პაპაჩემი, განაგრძო მოხუცმა, როგორც გამოცდილი და ამ ქვეყნის ავ-კარგიანობის ამწონ-დამწონი, დაბრუნდა თუ არა სოფელში, მიჰყო ხელი სოფლის საქმეებს. უწერდა ხალხს წერილებს, თხოვნასა და სხვა ქაღალდებს, იგი უსათუოდ უნდა გარეულიყო ყველა სასოფლო საქმეში და ბოლოს ხომ უიმისოდ სოფელში ჩხირსაც არ გადააბრუნებდნენ. იმან ასწავლა ჩვენის სოფლის ახალ თაობას წერა-კითხვა და უჩვენა გზა სწავლის შესაძენად. მანვე პირველად შემოიღო ახალი მეურნეობა და იმისს მაგალითს აჰყვნენ მეზობლებიც. იმისივე მეოხებით ჩვენს ნაწარმოებს შესაფერი ბაზარი მიეცა და ამის წყალობით ჩალური წნული ქოხები ქვიტკირის სახლებად გადაიქცა. პაპაჩემი მარტო სიტყვას-კი არა სჯერდებოდა, არა, იგი საქმითაც მოქმედებდა, თუმცა-კი არც რჩევა-დარიგებაზე [illegible] ხალხი მადლობდა ზეცას, რომ ღმერთმა ისეთი მეზობელი მისცა, როგორიც იყო იანი და თვით იანიც სრული კმაყოფილი იყო თავისის ხვედრისა. „იქ, განათლებულ და მუშაკ ხალხში უბრალო მთიულის ღვაწლი ან სრულიად არ გამოჩნდებოდა, ან არა-და დასაწყისშივე ჩაინთქებოდა უკვალოდ, მაშინ-როდესაც აქ, ჩემს მცირე ცოდნას საკმარისი სარგებლობა მოაქვსო“. იგი დარწმუნდა საკუთარის ცხოვრებით, რომ სოფელში უსათუოდ საჭიროა განათლებული კაცი, რომელსაც-კი შეუძლიან სულით და გულით დაუნათესავდეს სოფელს და მოიპოვოს მისი ნდობა. იგი ჰხედავდა, რომ ის ნიჭიერი ყმაწვილები, რომლებიც მისივე მეცადინეობით ეღირსნენ სწავლას, ანებებდენ თავს სამშობლოს და გარბოდნენ შორს ბედისა, ღირსებისა და პატივის საძებნელად. ამ გვარად ობლდებოდა სოფელი და ყველა ნიჭი მისთვის უსარგებლოდ ხდებოდა. მას გულგრილად ვერ წარმოედგინა, რომ მასს შემდეგ სოფელში ერთი განათლებული კაცი აღარა რჩებოდა, რომელსაც შესძლებოდა მისი დაწყებული საქმის გაგრძელება. ამ გამოურკვეველს ყოფაში იყო, როცა შეირთო იმან ცოლი და აღსთქვა: „ჩემს შვილს ისე აღვზრდი, რომ მან მთელი სიცოცხლე სამშობლო სოფლის სამსახურს შესწიროსო“. 1780 წელს ეყოლა ვაჟი, რომელიც აღთქმის საგვარად აღზარდა. როცა მოხუცი უკანასკნელად მიდიოდა ომში, დასწერა ანდერძი, რომელშიაც იმუდარებოდა შვილი დაჰმორჩილებოდა მშობლის სურვილს და წინააღმდეგობით არ მოეპოვებინა მშობლიური წყევა-შეჩვენება...

მარცინმა უცნაურად ამოიოხრა და მცირე ხანს შესდგა. პავლე თავ-ჩაკიდებული ელოდდა ამბის განგრძობას. მოხუცმა ერთი-კი შეჰხედა შვილს და კვლავ განაგრძო:

მას შემდეგ პაპიჩემის აღთქმა შეიქნა ქვა-კუთხედად ჩვენის გვარის სიცოცხლისა. აი მეც, თუმცა საკმარისი სწავლა მივიღე, მაინც სხვაგან არ გავყევი პირად სარგებლობას და დავბრუნდი ამ მიყრუებულ ადგილს, მხოლოდ იმიტომ რომ წინაპართა ანდერძი შეუცვლელად განმეგრძო. მე ეხლა მოვხუცდი... შენი ჯერი მოვიდა...

უკანასკნელი სიტყვები მოხუცმა აღტაცებით წამოიძახა და შეჰხედა შვილს. პავლე უძრავად იდგა.

— ჩუმადა ხარ? ჰკითხა მამამ. პავლემ დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ ყელში მობჯენილმა ცრემლმა არ დააცადა. მოხუცმა შენიშნა ეს და მწარედ გაიღიმა.

— ჩემთვის უცხო არ არის შენი ტანჯვა. ოდესღაც მეც შენსავით ახალგაზრდა იყავი... მქონდა მეც საკუთარი აზრი და საგანი და ცხოვრების მიმართულის თვალით ვუცქეროდი... მაგრამ რაკი მოვიდა დრო, დავსახლდი ამ ქოხში, ქალაქის დროს გამტარებელი საზოგადოება შევცვალე სამიოდე მეზობელ სოფლელებზე. მაშინ მეც შენსავით მეგონა, რომ მამა ცოცხლივ მიპირებს დამარხვას-მეთქი. გავიდა დრო, შევეჩვიე ჩემს ახალს მდგომარეობას და დღეს სრულიად ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, როცა-კი მეზობლებთან ვმუშაობ და ვსაქმობ. ისეთის სიამოვნებითა და ერთ-გულებით ვასრულებ ჩემს მოვალეობას, რომ რაღაც ქალაქის საზოგადო მოძრაობა... უთავ-ბოლოდ და უპატრონოდ გაშვებულ ცხვრის ფარას მაგონებს. ყველაზე ძნელი ჩვენი ცხოვრების ჯეროვანი შესწავლა-შეთვისებაა და რაკი ამას დასძლევს ადამიანი, ისე შეიყვარებს და შეეჩვევა სოფლის ცხოვრებას, რომ ძნელად-ღა მოჰშორდება... ეხლა მემდური, მაგრამ იმედი მაქვს შემდეგში სამდურავი მადლობად გადაიქცევა. განა საჭიროა ადამიანმა ეძებოს ლუკმა-პური უცხოეთში, მაშინ—როდესაც შეუძლიან მოიპოვოს თვით მშობელ სოფელში?!. არც სიმდიდრე, არც ჯილდო, არც პატივი ვერ მოგანიჭებს უცხოეთში ბედნიერებას. მხოლოდ განწმენდილს ნამუსს შეუძლიან დაგანახვოს სიცოცხლით დათესილი სიკეთე და მით აგიგოს მეზობელთა გულში საუკუნო ძეგლი. ასე, ჩემო ძვირფასო, შვილო! სჯობს წინად მცირედ იტანჯო, მონამ საუკუნოდ იყო ტანჯვა-წვალებაში. ხვალიდამვე აღარ ჩაიცო ეგ ქალაქის ტანისამოსი. შეინახე, იქნება ოდესმე დაგჭირდეს. ახლა-კი უნდა ჩაიცვა ადგილობრივი ტანისამოსი, რადგან ტანთ-საცმელითაც-კი არ უნდა ირჩეოდე შენს მეზობლებში, არამედ ჭკუითა და კეთილის საქმით. კვირას წავიდეთ, ვილოცოთ მამა პაპათა სალოცავი, რომ განწმენდილი შეუდგე ახალს ცხოვრებას... შემდეგ მივყოთ ხელი მუშაობას და შემდეგ... აღსრულდეს, წმინდაო, ნება შენი... ლაღადებით დააბოლოვა მოხუცმა სიტყვა და დაიწყო ოთახში სიარული.

ამ ლაპარაკში განკამ შემოიტანა ვახშამი. განკამ გაოცებით შეჰხედა მოღრუბლულ მამა-შვილთ. ვახშამი გაათავეს თუ არა, მოხუცი გაეშურა სალოცავად. განკა მიუახლოვდა პავლეს და ნელის ხმითა ჰკითხა:

— რისთვის გაგიჯავრდა მამა?

— არ გამჯავრებია.

— მაშ ასე რამ დაგაღონათ.

— ისე!

— უეჭველია ქალაქის დაშორებამ დაგაღონათ!

— სწორედ რომ მიხვდი, ჩემო განკავ! ღიმილით უპასუხა პავლემ.

(შემდეგ იქნება)

pastourelle“ და „la poule“. ბოლოს მოემატა მეექვსე და უკანასკნელი მუხლი—ფინალი.

**

ფილოსოფია ანუ დაფარული აზრი კადრილისა შემდეგია: ორი წყვილი ქალი და კაცი სდგებიან ერთმანეთის პირდაპირ, თითქოს უცხონი იყვნენ ერთ-ურთისათვისაო. პირველს მუხლ „pantalon“-ში სეირნობით გაიცნობენ ერთმანეთს; ქალები გაიცნობენ ერთმანეთს „chaîne des dames“-ში, პირდაპირ მდგომ კაცებსაც დაუახლოვდებიან და ბრუნდებიან თავისებთან.

მეორე ჯერობაზედ ქალებს უნდათ თითქმის უღალატონ თავისს მამაკაცებს, წინ ეგებებიან ვაჟს მეორე მხრისას, მაგრამ ბოლოს ისევე ბრუნდებიან და ურიგდებიან თავისებს.

მესამე—კვლავ იწყება არევა-დარევა და ღალატი.

მეოთხე—მამაკაცები მოხიბლულნი არიან სხვა ქალებით, ჰღალატობენ თავისებს, აყალმაყალი იმართება, ხოლო ბოლოს ისევ რიგდებიან.

მეხუთე—ქალი სტოვებს თავისს ვაჟკაცს მარტოდ-მარტოს, გადადის მეორე მხარეზედ და ძლივ-ძლივობით ირიგებს კაცი ქალს რომ სახლში დაბრუნდი, გარე-გარე ნუ დარბიხარო.

მეექვსე—საშინელი წეწვა და არევ-დარევა მოსდი, განსაკუთრებით „changement de dames“-ში, ბოლო-კი ბედნიერად თავდება და ყველანი მადლიერნი არიან თავისის ხვედრისა.

ასე და ამ გვარად ამ ცეკვაში თითქმის იგივეა, რისაც ცხოვრებაში ვართ მოწამენი, განსხვავება მარტო ის არის, რომ აქ მუსიკის სასიამოვნო ჰანგზედ სწარმოებს ეს ცოლ-ქმრული აყალმაყალი.

**

ეს განსხვავება ვიცოდით და ის-კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, ეხლა შევიტყეთ, რომ თურმე ჩვენ მიერ მოძულებულ და ჯვარზედ ცმულ, ხოლო ჩვენთა დედათა მიერ შეყვარებულ კორსეტშიაც ყოფილა განსხვავება, კორსეტიც სხვა-და-სხვა გვარი უკეთებიათ: მაგალითებრ, სუქნისათვის ერთ გვარი, გამხდრისათვის სხვა ნაირი, ტანოვანისათვის კიდევ სხვა... მაგალითებრ, თუ გულმკერდი მეტად სრული აქვს ქალს, კორსეტი Dutona უნდა ატაროს, თუ პირ-იქით, გამხდარია—უეჭველად კორსეტი Sarah Bernard-ი; კარგად განვითარებულის გულ-მკერდის ქალმა უნდა შემოიკრას კორსეტი Sculpture, არა ისე კარგად განვითარებულის გულ მკერდისამ—Demi-scupture. არის სხვა გვარი კორსეტებიც სხვა-და-სხვა ტანისა და აგებულების ქალთათვის: bonheur-ი, amazone, Bain dvmer-ი და სხვანი და სხვანი მრავალნი.

# დეპეშა

21 იანვარი

ვენა. გაზეთები ამბობენ, რომ მიზეზი მემკვიდრე პრინცის თავის მოკვლისა გაუგებარიაო. ხალხი ექვით მიეგება ოფიციალურს განცხადებას ვითომ პრინცმა თითონ მოიკლა თავიო.

იმ ოთახში, სადაც მემკვიდრე პრინცი გარდაიცვალა, იპოვეს პრინცის ბარათი დედოფლისადმი მიწერილი.

დასაფლავებაზე დესწრებიან მხოლოდ ბელგიის მეფე და დედოფალი სამეფო კარს ჰსურს, რომ დასაფლავებაზე დაესწრნენ მხოლოდ ის ჯარების უფროსები, რომელთა შეფად ითვლებოდა განსვენებული პრინცი; სხვა სამხედრო დეპუტაციები-კი მოწვეულნი არ არიან.

იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიიღო ყველა ქვეყნებიდგან გულითადის სამძიმრის დეპეშები.

ექიმების აზრით, მიზეზი მემკვიდრე პრინცის თავის მოკვლისა სულით ავადმყოფობა იყოვო.

ლონდონი. ერც-ჰერცოგს რუდოლფს წერილი მიუწერია მამისათვის და ის მიზეზიც მოუხსენებია, რის გამოც იძულებული ყოფილა თავი მოეკლა.

ერც-ჰერცოგმა კარლო-ლიუდვიგმა უარი სთქვა მემკვიდრეობაზე და უფლება დაუთმო თავისს უფროსს შვილს.

22 იანვარი

პეტერბურგი. სამეფო კარი ორის კვირის განმავლობაში იგლოვიარებს ავსტრიის მემკვიდრე პრინცის გარდაცვალებას.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სამეფო მატარებლის დამსხვრევის საქმე იუსტიციის მინისტრს გადაეცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 იანვარი.

| | მყიდველ. ჰქ. | გამყიდვ. ჰქონდ. | გარიგდ. ჰქონდ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 151¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 265⅓ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 248¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

იანვარი 31 დღით არის.

24 დღე სამშაბათი, ღირს. ქსენიასი. კათოლ. წმ. ეპ. ტიმოთესი. სომეხ. წმ. ვაჰან გოლთნელისა, ევგენისა და სხვათა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 5—20. მთვარე 6 დღისაა.

25 დღე ოთხშაბათი. წმ. მამისა გრიგოლ კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ღვთის-მეტყველისა. კათ. პავლესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-6 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე 7 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |

# განცხადებანი

კვირიდამ, 22 იანვრიდამ, მცირე ხნის განმავლობაში შეიძლება ჰნახოთ:

შესანიშნავი

დიდის ტანის დედაკაცი,

ამერიკელი გამომცნობელი

გოლოვინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლებში, დილის 12 საათიდამ საღამოს 10 საათამდე. (2—2)

ხუთშაბათს, 26 იანვარს, საღამოს 7½ საათზე დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

საგანი განხილვისა:

1). მიმომდინარე საქმენი.

2). მოხსენება კომისიისა იმის გამო, თუ რა ღონის-ძიება უნდა იყოს მიღებული ვაზის ავადმყოფობის წინაამდეგ, მილდიუსა და ნაცარის მოსასპობლად.

3) მოხსენება ნამდვილის წევრის ტარუმოვისა: სხვა-და სხვა გვარი ფუტკარი; ჩვენებურის ფუტკრის უკეთესობა სხვათა ჯიშის წინაშე; საჭიროა თუ არა გონივრული წესი ფუტკრის მოვლის კავკასიაში

არა წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ კრებაზე. (2—1)

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—5)

ისყიდება

თესლეულობა

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩა, ობიდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედ. | | |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| გმირი არ. ჭუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |

რძის ფქვილი ნესტლესი. ჰღირს 1 მ. 15 კ.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწოვება.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი. ჰღირს 85 კაპ.

ისყიდება ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი: სა-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, მაშკოვის ვიწრო ქუჩაზედ, ხოლენიკოვების სახლებში. ალექსანდრე ვენცელთან

ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Александръ Венцель

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელის მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

3—2

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 23-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე